სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნანა გოგოლაძის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**22**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**9**	**10**
პროფესიული აქტივობა	**0**	**5**
ქულათა ჯამი	**86**	**100**

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე
თარიღი : 16.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 16 **სექტემბერი** **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ნანა გოგოლაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 18 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ნანა გოგოლაძე.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 4 სექტემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შეცვაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 39 წლისაა. არის სამართლის მაგისტრი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი, 2008 წელი). სპეციალობით მუშაობს თითქმის 18 წელია, კერძოდ:

- 2006 წლის ნოემბრიდან - 2007 წლის მაისამდე მუშაობდა ადვოკატის თანაშემწედ, სპს „კონსულტანტში“;

- 2007 წლის მაისიდან - 2008 წლის დეკემბრამდე იყო სტაჟიორი თბილისის საქალაქო სასამართლოში;

- 2008 წლის 15 დეკემბრიდან - 2010 წლის ივნისამდე მუშაობდა სასამართლო სხდომის მდივნად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში;

- 2010 წლის ივნისიდან - 2016 წლის მაისამდე იყო მოსამართლის თანაშემწე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში;

- 2016 წლის მაისიდან - 2017 წლის თებერვლამდე იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის შტატგარეშე მოსამსახურე მოსამართლის თანაშემწე (მთავარი კონსულტანტი);

- 2017 წლის თებერვლიდან 2017 წლის აპრილამდე - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე;

- 2017 წლის აპრილიდან - 2017 წლის ივნისამდე ასრულებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს რეფერენტის მოვალეობას;

- 2017 წლის ივნისიდან 2017 წლის ივლისამდე იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწე;

- 2017 წლის ივლისიდან - 2018 წლის აპრილამდე მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე;

- 2018 წლის აპრილიდან - 2020 წლის მარტამდე იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე;

- 2020 წლის მარტიდან - 2021 წლის მარტამდე მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწედ;

- 2021 წლის მარტიდან - 2023 წლის ივლისამდე საქართველოს უზენაეს სასამართლოში იყო მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე;

- 2023 წლის 11 ივლისიდან - 2024 წლის 11 ივლისამდე - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებად და ნაკლოვანებებად უთითებს, რომ საჭიროებს მეტ აქტიურობას.

კანდიდატ ნანა გოგოლაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი რაიმე სახის ინფორმაცია. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი. კანდიდატის სახელზეა არაა რეგისტრირებული უძრავი ქონება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნანა გოგოლაძე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატ ნანა გოგოლაძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია არ არსებობს; კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

ნანა გოგოლაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 12.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ნანა გოგოლაძეს აქვს ადმინისტრაციული სამართლის მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, რომელსაც მაღალ დონეზე იყენებს პრაქტიკაში. საქმის დეტალურად გაცნობის შემდეგ, ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხს ხსნის სწრაფად და კონცენტრირებულად. შეუძლია მიღებული გადაწყვეტილების ლოგიკური დასაბუთება. წერს მხარისთვის გასაგებ ენაზე. მაღალ დონეზე ფლობს თეორიულ და საპროცესო კანონმდებლობას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს. სეიმარული მუშაობისას გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე, პრაქტიკული დავალებები შეასრულა სათანადოდ და კვალიფიციურად. სტაჟირების პერიოდში მან თავი გამოიჩნა, როგორც კომუნიკაბელურმა და თავაზიანმა ადამიანმა. არის ძალიან ტაქტიანი და არასდროს გასცდენია ეთიკის ნორმებს. ასევე, არის ორგანიზებული და ეფექტურად ანაწილებს დროს. სამოქალაქო სამართალში კანდიდატს შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც გამოვლინდა პრაქტიკული დავალებების შესრულებისას და სასამართლო გადაწყვეტილებების პროექტების შედგენისას. მან შესანიშნავი სამოსამართლეო უნარ-ჩვევები გამოავლინა რელაციის მეთოდით სამოქალაქო დავათა დამუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების ტექნიკაშიც. სამომავლოდ, მან უნდა გააუმჯობესოს ზეპირი გადმოცემის უნარები. სისხლის სამართალში ნანა გოგოლაძის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტები/გადაწყვეტილებების პროექტები გამოირჩევა დასაბუთებულობის

მაღალი სტანდარტით. მას კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მის მიერ შესრულებული სამუშაო გამყარებულია სასამართლო პრაქტიკით. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

ნანა გოგოლაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული მიმართულება)", „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის სიახლეები და კორუფციის პრევენციის მექანიზმები", არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული მიმართულება)", „ბავშვის უფლებათა კოდექსი - Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG)", „სამედიცინო სამართლის პრობლემატური საკითხებ" და ა.შ.)

ნანა გოგოლაძეს გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი, ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, ასევე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

3. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

კანდიდატს საჯარო მოსმენისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს ზოგადი ხასიათის შეკითხვები.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა,

მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ:

კანდიდატს, როგორც მოქალაქეს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, კეთილსინდისიერება, პროფესიული ღირსება, საქმისადმი ერთგულება და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას).

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.</u>

კანდიდატი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, არასდროს ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, თუმცა ყოველთვის ისმენს სხვის აზრს, აქვს სამართლიანობის მაღალი განცდა.

<u>შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.</u>

კანდიდატი გამოირჩევა საქმისადმი ერთგულებით, გააჩნია პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის გაწონასწორებული, კომუნიკაბელური, ტაქტიანი და არასდროს სცდება ეთიკის ნორმებს, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.</u>

კანდიდატი კოლეგებსა და იურიდიულ წრეებში სარგებლობს მაღალი პროფესიული რეპუტაციით, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი ნანა გოგოლაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ცოდნა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენის და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შეფასდა **22 ქულით (მაქსიმალური -25);**

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და სასამართლო სისტემაში მუშაობის პროფესიული გამოცდილება. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა მოსამართლის თანაშემწედ, როგორც თბილისის საქალაქო და სააპელაციო, ასევე საქართველოს უზენაეს სასამართლოში, უწევდა არაერთი გადაწყვეტილების პროექტის წერა და დასაბუთება, რასაც ახერხებდა მაღალკვალიფიციურად და კომპეტენტურად.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **22 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მის მიერ შედგენილი გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტით გამოირჩევა. იგი გასაგები ენით გადმოსცემს პრობლემურ საკითხებს და სწორ სამართლებრივ შეფასებას აძლევს მათ. გადაწყვეტილებების პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. კანდიდატი მეტყველებს გამართული ქართულით, მას შეუძლია საქმის გარემოებები და სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მხოლოდ მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის ენარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **18 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, მედეგი, სამართლიანი, შრომისმოყვარე და მიზანდასახული პიროვნება. რეკომენდატორები უთითებენ, რომ მას აქვს ყველა ის აუცილებელი თვისება რაც სჭირდება მოსამართლეს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატის მონაწილეობა აქვს მიღებული პროფესიული წვრთნის არაერთ პროგრამაში და მუდმივად ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე. აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **9 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).**

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტით

გათვალისწინებული ,,პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 0 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 86 ქულას.

ლევანი თევზაძე